სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიში

2015

დაგეგმვისა და განვითარების სამსახური.....5

1. ბუნებრივი რესურსების მართვა.....5

1.1. ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დასაცავად მიმიართული ღონისძიებები.....5

1.2. რეინჯერთა საქმიანობის ინსტიტუციონალური განვითარება.....5

1.3. დაცული ტერიტორიების სისტემაში 2015 წელს გამოვლენილი სამართალდარღვევები.....5

1.4. ხანძართან ბრძოლის ქმედებები.....7

1.5. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა.....7

1.6. კონფლიქტი მოსახლეობასა და ველური ბუნების წარმომადგენლებს შორის.....7

1.7. დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენა და რეგისტრაცია.....7

1.8. ცვლილებები დაცული ტერიტორიების ზონირებაში.....8

2. სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი.....9

2.1. ბუნებრივი რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფომრაციის მომზადება 9

2.2. რეინტროდუცირებული სახეობები.....10

2.3. დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული სამეცნიერო კვლევები.....11

2.4. ტრენინგები.....14

3. ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია.....16

3.1. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები.....16

3.2. სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში.....17

3.3. მოხალისეთა პროგრამა.....17

3.4. თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან.....18

3.5. სტატისტიკა.....20

4. ეკოტურიზმი.....21

4.1. ვიზიტორთა რაოდენობა.....21

4.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სტატისტიკა.....23

4.3. ახალი ტურისტული სერვისები.....24

4.4. სხვა განხორციელებული აქტივობები.....24

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.....24

1. ტურისტული გამოფენები.....24

2. ღონისძიებები.....25

3. სარეკლამო ღონისძიებები და ბეჭდური მასალები.....29

4. მედია საშუალებები (სოციალური მედია).....31

საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტების მართვის სამსახური.....32

1. სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი.....32

1.1. KfW/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ეკორეგიონის კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასია 32

1.2. დაცული ტერიტორიები - მსოფლიო მემკვირდეობის უბანი.....33

1.3. დაცული ტერიტორიებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება - ProPark.....34

1.4. ენერგოტრანსი - ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის საკომპენსაციო ღონისძიებები...34

1.5. ევროპული დიპლომი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის.....34

1.6. ეროვნული დაცული ტერიტორიების ქსელის მართვა და ბუნების პრაქტიკული კონსერვაცია.....35

1.7. USDOI - ტრენინგები დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთათვის.....35

1.8. ევროკავშირი/დაცული ტერიტორიების სააგენტო - თვინინგის პროექტი.....36

1.9. CNF/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ცხრა დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება.....36

1.10. EU/ClimaEast/UNDP - ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობა.....37

1.11. რეფერალური ცენტრის მოწყობა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე.....37

1.12. ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხერთ კავკასიაში (II ფაზა).....37

1.13. GIZ - თუშეთის დაცული ტერიტორიები/ეროზიის კონტროლი.....38

1.14. აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება.....39

1.15. CzDA/ISCA - იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესება 40

1.16. CzDA- ტრადიცული მეურნეობის ხელშეწყობა თუშეთში.....41

1.17. ტყის ინვენტარიზაციის პროექტი.....42

1.18. ეკოტურიზმის განვითარება და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე.....42

1.19. ჯავახეთის ეროვნული პარკის გახსნა....43
1.20. ალვანი-ომალოს გზის კონცეფცია....43
1.21. დასავლეთ საქართველოს მღვიმეების კვლევა....44
1.22. სხვა აქტივობები....44

ადმინისტრაციული სამსახური....45
4.1. თანამშრომელთა შერჩევის კონკურსი....45
4.2. 2015 წლების განმავლობაში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები....45
4.3. ადმინისტრაციული საქმისწარმოება....45
4.4. საქმისწარმოების არქივი....45
4.5. სამსახურებრივი მოწმობების გაცემა....46
4.6. ჯანმრთელობის დაზღვევის ადმინისტრირება....46
4.7. ცეცხლსასროლი იარაღის ადმინისტრირება....46
4.8. ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა....46

იურიდიული სამსახური....46
5.1. კანონშემოქმედებითი საქმიანობა....47
5.2. კანონქვემდებარე აქტების მომზადება....47
5.3. საგრანტო ხელშეკრულებები....47
5.4. სასამართლო წარმომადგენლობა....47

ინსპექტირების სამსახური....48
6.1. ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები....48
6.2. მოსამსახურეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტები 48

ეკონომიკური სამსახური....48
2015 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები....51

დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახური წარმართავს და მონაწილეობს დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვაში. სამსახურის ფუნქციებში შედის ბუნებრივი რესურსების მართვა და ბუნებათსარგებლობის განხორციელება. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, ხდება სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების საქმიანობის ამსახველი მონაცემების განხილვა, მათი შეფასება და გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.

1. ბუნებრივი რესურსების მართვა

1.1. ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დასაცავად მიმიართული ღონისძიებები

დაცული ტერიტორიების სისტემაში დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 419 515 ჰა ტერიტორიას, სადაც დაცვის სამსახურსი დასაქმებულია 318 თანამშრომელი, მათ შორის 298 რეინჯერი. რეინჯერებზე სამართავად მოდის საშუალოდ 1650 ჰა ტერიტორია.
2015 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების ტერიტორიეული ადმინისტრაციების მიერ ჩატარებულია 2588 საკონტროლო რეიდი. 47221 - ჯერ ჩატარდა რეგულარული პატრულირება. პატრულირების დროს გავლილმა საშუალო მანძილმა შეადგინა 1.220150 კმ, მათ შორის, ფეხით - 404 210კმ, ცხენით - 131 220 კმ, ავტომანქანით - 673 300 კმ, კვადროციკლით 3 320 კმ; წყლის ტრანსპორტით - 8 100 კმ. აღნიშნულის შესაბამისად დაცვის სამსახურის თანამშრომლები ფეხითა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ყოველდღიურად საშუალოდ გაიარა 13,1 კმ.

1.2. რეინჯერთა საქმიანობის ინსტიტუციონალური განვითარება

დაცული ტერიტორიების ყველა ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებს, დაცვის უფროსებს და უბნის უფროსებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: ,,საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყეებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება“.

ტერიტორული ადმინისტრაციების მიერ მათი სამოქმედო ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რელიეფისა და წელიწადის დროების გათვალისწინებით კარტოგრაფიულ მასალების ელექტრონულ რუკებზე შემუშავებული და დატანილი იქნა google maps-ის პროგრამაში რეინჯერთა საპატრულო მარშრუტები.

1.3. დაცული ტერიტორიების სისტემაში 2015 წელს გამოვლენილი სამართალდარღვევები

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2015 წლის 12 თვის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 410 სამართალდარღვევის ფაქტი რაც 18%-ით

მეტი გამოვლინებაა 2014 წელთან შედარებით. აღნიშნული 410 ფაქტიდან 404 წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ხოლო 6 სისხლისსამართლის ნიშნების მქონე ფაქტს. გამოვლენილი ფაქტები სამართალდარღვევების მიხედვით შემდეგია - თევზაობის წესების - 11 დარღვევა, უკანონო თევზაობა - 11, უკანონო ჭრა-136, უკანონო ნადირობა -10, უკანონო ძოვება-91, ნადიროების წესების დარღვევა - 46, სხვადასხვა სამართალდაღვევა - 105. 12 თვის განმავლობაში დამნაშავეებზე გამოვლინდა 663,08 მ³-ზე უკანონო ჭრა.



სამართალდარღვევის ფაქტები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით



ყველაზე მეტი გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე და სასამართლოში გადაცემული უკანონო ქმედებები დაფიქსირდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკის ადმინისტრაციაში სადაც დაფიქსირდა 118 სამართალდარღვევის ფაქტი. შემდგომ მოდის თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, სადაც დაფიქსირდა 43 სამართალდარღვევის

ფაქტი. უკანონოდ მოჭრილი ყველაზე მეტი 562,5 მ³-ის მოცულობის ხე-ტყე დამრღვევებზე გამოვლენილი მოდის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე. შემდგომ მოდის თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, სადაც აქ უკანონო ჭრაზე გამოვლინდა 33,29მ³ ოდენობის ხე-ტყე.

უკანონო ქმედებები არ გამოვლენილა ყაზბეგის დაცულ ტერიტორიებზე. ყველაზე მეტი ნადირობის წესების დარღვევის 18 ფაქტი გამოვლინდა ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე ხოლო ძოვების წესების ყველაზე მეტი 27 ფაქტი გამოვლინდა ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე. ყველაზე მეტი ნადირობის 9 ფაქტი თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ გამოვლინდა. ყველაზე მეტი სისხლის სამართლის ნიშნების მქონე 3 ფაქტი გამოვლინდა ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სადაც 2 ფაქტი დაფიქსირდა ხე-ტყის უკანონო ჭრაზე, ხოლო 1 ფაქტი დაფიქსირდა უკანონოდ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნაზე.

1.4. **ხანძრებთან ბრძოლის ქმედებები**

დაცული ტერიტორიებზე 2015 წლის 12 თვის მდგომარეობით დაფიქსირდა ხანძრების 7 ფაქტი მათ შორის 2-ჯერ ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, 2-ჯერ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, 2-ჯერ თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე და ერთხელ ჯავახეთის დაცული ტერიტორიებზე. რა დროსაც დაიწვა მხოლოდ გამხმარი ბალახი 10,4 ჰა-ზე. ხანძრების შედეგად ტყეები არ დაზიანებულა.

1.5. **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა**

ადგილობრივი მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით 2015 წლის 12 თვის მონაცემებით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 18041 მ³ ხე-ტყე მათ შორის 17426 მ³-ზე მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე და 615 მ³ I ხარისხის ხე-ტყე გაიცა ნეძვის აღკვეთილიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მოსახლეობაზე. აღნიშნული ხე-ტყით, საშუალოდ ისარგებლა 3610 ოჯახმა. ყველაზე მეტი 8855 მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან, ხოლო შემდგომ 2770 მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან.

1.6 კონფლიქტი მოსახლეობასა და ველური ბუნების წარმომადგენლებს შორის

ალგეთის, ჯავახეთის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და მის შემოგარენში დაფიქსირდა ნადირის მიერ შინაური ცხოველების დაგლეჯისა და დაზიანების 61 შემთხვევა.

1.7. დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენა და რეგისტრაცია

დასრულებულია დემარკაცია და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში სრულად - კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის ნაკრძალი და აღკვეთილი, კაცობურის აღკვეთილი, აჯამეთის აღკვეთილი, გოჭკადილლის კანიონის ბუნების ძეგლი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ბორჯომის ნაკრძალი, ნეძვის აღკვეთილი, თბილისის ეროვნული პარკი, გარდაბნის აღკვეთილი, მარიამჯვარის ნაკრძალი, იორის აღკვეთილი, ბაწარას ნაკრძალი, ბაბანეურის

ნაკრძალი, ილტოს აღკვეთილი, ვაშლოვანის ნაკრძალი, ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი, არწივის ხეობის ბუნების ძეგლი.

დასრულებულია დემარკაცია და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ნაწილი ნაწილი შეჩერებულია რეგისტრაცია - ყორუღის აღკვეთილი (ზედდება სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ ნაკვეთებთნ, მიმდინარეობს საკითხის შეთნხმება საგარეჯოს მუნიციპალიტეტთან), ვაშლოვანის ეროვნული (ზედდება სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ ნაკვეთებთნ, მიმდინარეობს საკითხის შეთნხმება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან); ტახტი-ტეფას ბუნების ძეგლი (შეჩერებული რეგისტრცია, ზედდება კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან) აღნიშნულ პრობლემატური საკითხების აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები;

დასრულებულია დემარკაცია გაგზავნილია სარეგისტრაციოდ - მაჭახელას ეროვნული პარკის რეგისტრაცია, გამზადებულია სარეგისტრაციოდ გასაგზავლად ლაგოდეხის ნაკრძალი და ლაგოდეხის აღკვეთილი, მომზადებულია სარეგისტრაციოდ გასაგზავნად იმერეთის ბუნების ძეგლები.

დასრულებულია დემარკაცია მზადდება სარეგისტრაციოდ გასაგზავნად - სამეგრელოს ბუნების ძეგლები, გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი, ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი, თუშეთის ეროვნული პარკი და ნაკრძალი, თეთრობისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი.

დასრულებულია დემარკაცია - ალგეთის ეროვნული პარკი, დაშბაშისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლები;

დასრულებულია სრულად 19 დაცული ტერიტორიის რეგისტრაცია, გაგზავნილია და შეჩერებულია 3 დაცული ტერიტორიის რეგისტრაცია, 18 დაცული ტერიტორია გაგზავნილია სარეგისტრაციოდ, მზადდება სარეგისტრაციოდ 16 დაცული ტერიტორია, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარება 3 დაცული ტერიტორია.

1.8. ცვლილებები დაცული ტერიტორიების ზონირებაში

განხორციელდა შემდეგი დაცული ტერიტორიების ზონირების ცვლილება - თბილისის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახელას ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები და აჯამეთის აღკვეთილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებები განხორციელდა დროებით რეგულირების წესებში.

შემუშავდა და დამტკიცდა მტირალას ეროვნული პარკის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები. ჩატარდა აჯამეთის აღკვეთილის ტყის ინვენტარიზაცია და შემუშავდა აჯამეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა და ტყის მართვის გეგმა, რომლის დამტკიცება მოხდება 2016 წლის პირველ კვარტალში.

2. სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი

სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგს დაცულ ტერიტორიებზე აწარმოებენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფები. ამ მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი საქმიანობები:

2.1. ბუნებრივი რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფომრაციის მომზადება

სააგენტოს მიერ მუდმივად წარმოებს არსებული ბუნებრივი რესურსის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას არსებული რესურსის შესახებ, ასევე მათი ზრდისა და კლების ტენდენციებზე. სააგენტომ 2015 წლის განმავლობაში მოახდინა ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ შეგროვილი და მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ერთიანი მონაცემების მომზადება ფლორისა და ფაუნის რიცხოვნობის შესახებ. ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



სურ. 1. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ცხოველების რიცხოვნობა 2015 წლის მონაცემებით.



სურ. 2. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2015 წლის განმავლობაში აღრიცხული ფრინველების რიცხოვნობა



სურ. 3. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2015 წლის განმავლობაში აღრიცხული წყლის და გადამფრენი ფრინველების რიცხოვნობა

ყველა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ მომზადებულია 2015 წლის „ბუნების მატიანეები“, რომლების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილია სააგენტოში.

მომზადებულია საქართველოს „ბუნების მატიანეებში“ აკუმულირებული ინფორმაციის შესახებ მონაცემთა ბაზა, რომელიც გამზადდა ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუშავდება ერთიანი ინფორმაცია ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დაგეგმვისა და განვითარების სამსახურში ინახება ცხოველებისა და მცენარეების ფოტომასალა: ფოტოხაფანგებით და ფოტოსურათები.

2.2. **რეინტროდუცირებული სახეობები**

ჯეირანი - ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებულია ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე რეინტროდუცირებული ჯეირნებისა და ბორჯომ-ხარაგაულში რეინტროდუცირებული ნიამორების შესახებ. 2013 წელს WWF-ის დახმარებით განხორციელდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან **ჯეირნის** რეინტროდუქცია, ხოლო 2014-2015 წლებში კიდევ

დაემატა რამოდენიმე ინდივიდი რეინტროდუცირებულ ჯეირნებს. რეინტროდუქციის დროს გამოყენებული იქნა სხვა მეთოდი საქართველოში ადრე არსებულ მეთოდებისაგან - ინდივიდები პირდაპირ ველურ გარემოში იქნა გაშვებული. მონიტორინგის მიზნით 2 მათგანს მიმაგრებული აქვს სატელიტური საყელო, რომელიც იძლევა საშუალებას მათი გადაადგილების ტრაექტორიის დადგენის შესახებ. აღნიშნულ სახეობაზე მიმდინარეობს ყოველდღიური დაკვირვება, რაზედაც მზადდება შესაბამისი ანგარიშები. ანგარიშებში განთავსებულია ინფორმაცია ჯეირნების გადაადგილების მარშუტებზე შეხვედრიანობისა და ნამატის შესახებ. უკანასკნელი ანგარიშების მიხედვით ჯეირნების რეინტროდუქცია წარმატებულია, რადგანაც ჯეირნების რიცხვი დაახლოებით 30 უახლოვდება ნანახი ნამატის მიხედვით.

ნიამორი - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ნიამორის ვოლიერში დღეისათვის მხოლოდ 5 ინდივიდი არის, მათ შორის 2 მამრი და 3 მდედრი. ნიამორების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წლის 20 მარტს დაეცა ერთი მამრი ნიამორი ხანდაზმულობით გამო. ყოველდღიურად ხდება ვოლიერის დასუფთავება და დღეში სამჯერადად საკვების მიწოდება. მიზანშეწონილია რეინტროდუცირებულ ნიამორებს შეემატოს ასევე ახალი ინდივიდები, რათა მიღწეული იქნას წარმატება.

2.3. **დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული სამეცნიერო კვლევები**

მომზადებულია 2015 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევების გრაფიკული გამოსახულება, ასევე 2000-2015 წლის ჩათვლით საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევების სტატისტიკა.



სურ. 1. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიხედვით

სამეცნიერო კვლევები:

- ილიას სახ. უნივერსიტეტის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შესრულდა შავი ზღვის კვლევები, რის შედეგად მომზადდა **„შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის პროგრამა“.** კვლევებში მონაწილეობა მიიღეს ასევე კოლხეთის პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა;

- ილიას სახ. უნივერსიტეტის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შესრულდა „**მობუდარი ფრინველების აღრიცხვა კეპ-ის ტერიტორიაზე“,** აქ ასევე მონაწილეობდნენ ზუგდიდის უბნის რეინჯერები;
- ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“-ს წარმომადგენლების მიერ შესრულდა „**პალიასტომის ტბის ჰიდრობიოლოგიური რეჟიმის კვლევა“,** სადაც ასევე მონაწილეობენ კეპ-ის რეინჯერები.
- **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე** განხორციელდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის „ნაკრესი“ -ს მრავალკომპონენტიანი პროექტი საქართველოს“ წითელ ნუსხაში“ შემავალი სახეობების, ინდივიდების რაოდენობის დადგენა აღნიშნულ პროექტში მაქსიმალურადაა ჩართული ეროვნული პარკის თანამშრომლები(რეინჯერები, უფროსი რეინჯერები, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები). პირველ ეტაპს მოიცავდა მურა დათვის მონიტორინგი, რომელიც 2014 წლის შემოდგომაზე ჩატარდა, „არაინვაზიური გენეტიკური მეთოდის გამოყენებით“, რაც გულისხმობს ექსკრემენტებიდან სინჯების აღებას ლაბორატორიული კვლევისთვის, მეორე ეტაპზე ფიცხვერის და კეთილსობილი ირმის კვლევას. კვლევის დროს გამოყენებული იქნა ექსკრემენტის დეკომპოტირება, ფოტო ხაფანგების დაგება, მურა დათვებზე GPS-GSM-იანი საყელოების დამონტაჟება და არჩვის მონიტორინგი უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენება.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა 15 სამეცნიერო კვლევა და პროექტი, ესენია:

1. „საძოვრების მდგომარეობის შესწავლა და საქონლის ზეგავლენა ბალახოვან საფარველზე“; ,,ვდტ-ს მიმდებარედ ადგილობრივ მოსახლეობისა და მომთაბარე თუში მწყემსების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და რეკომენდაციების მიცემა ტერიტორიების ეკოლოგიური (ბიომრავალფეროვნების წონასწორობის და მდგრადობის შენარჩუნება) გარემოს შენარჩუნებისათვის“.
2. „ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე გეო-ბოტანიკური კვლევები“, ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები;
3. „არქეოლოგიური კვლევები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით. და სხვ.

4. „მგლებზე და სხვა მსხვილ ძუძუმწოვრებზე“ დაკვირვება „,NACRES-ის თანამშრომლების მიერ.
5. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა დაკვირვებები სვავებზე და 5-8 ივლისს მოხდა ტახტი-თეფას და ხორნაბუჯის მიდამოებში სვავების 2 ინდივიდზე გადამცემების დამაგრება. შედეგად ცნობილია, რომ სვავის გადაფრენის ტრასა ირანის საზღვრებამდე აღწევს.
6. პოლონელი ენტომოლოგების მიერ დაცულ ტერიტორიაზე ჩატარდა პეპლების მრავალფეროვნების შესწავლა.
7. გერმანელი მკვლევარების მიერ 29-30 აგვისტოს ტერიტორიაზე ჩატარდა ფრინველებზე დაკვირვება (გერმანია) .
8. 7 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტების მიერ განხორციელდება კვლევა თემაზე: ,,ვერხვის იშვიათი და გადაშენების პირას მოფი სახეობის თურანულას (populus euphratica) ლოკაციის შესწავლა.“
9. 7 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტების მიერ განხორციელდება კვლევა თემაზე: ,,ვერხვის იშვიათი და გადაშენების პირას მოფი სახეობის თურანულას (populus euphratica) ლოკაციის შესწავლა.“
10. 5-6 ოქტომბერს ,,შავ მთაზე“ ბოტანიკოსების მიერ განხორციელდა სახოკიას ბერყენას პოპულაციის მონიტორინგი და ბუნებრივ პირობებში თვითგანახლების შესაძლებლობის, სოციალურობის და ფერტილობის შესწავლა“. ~
11. 20 ოქტომბერს - ნიტრარიას პოპულაციების მოძიება და მათი ჰაბიტატების დახასიათება. (ნ. ლაჩაშვილი).



სურ. 2. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები დარგების მიხედვით



სურ. 3. დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტატისტიკა 2000 -2015 წლის მონაცემებით

ანალიზი: აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, რომ სამეცნიერო კვლევების რაოდენობის მიხედვით მათი მაქსიმალური მაჩვენებელი 2015 წლებში გამოვლინდა, ხოლო წინა ეტაპებზე გარკვეული ვარდნის შემდგომ 2013 წელს კვლევების რიცხვმა მოიმატა. ყველაზე მეტი კვლევა ჩატარდა კოლხეთის ეროვნულ პარკში, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ბაწარა-ბაბანეურის და ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე. სამეცნიერო კვლევების დარგების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ზოოლოგიურ, გეოლოგიურ და ბოტანიკურ კვლევებს უკავიათ დომინანტი მდგომარეობა. კვლევების უმრავლესობა მოიცავდა რამოდენიმე დაცულ ტერიტორიას.

2.4. **ტრეინინგები**

3-8 მარტის ჩათვლით მონაწილეობა იქნა მიღებული გერმანიაში ქ. ბერლინში გამართული საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, სადაც მოხდა სააგენტოს მიერ გამოშვებული საინფორმაციო პროდუქციას და დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ტურისტულ მომსახურეობის სახეებს.
დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის მიერ, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი და დაცვის სამსახურის უფროსმა მონაწილეობა მიიღეს 2015 წლის 20-21 აპრილს ავსტრიელი ექსპერტების მიერ დაბა ბაკურიანში ჩატარებულ სატყეო სააგენტოს რეინჯერების და ტყის დაცვის განყოფილების სპეციალისტებისათვის გამართულ ტრენინში, სადაც განხილული იქნა ტყის განსაკუთრებით საშიში მავნე მწერები და მავნებელი სოკოები, რომლებიც შესაძლებელია შეგვხვდეს ტყის ეკოსისტემებში. ტრენინგზე განხილული იქნა მცირე ზომის სარკვევი რეინჯერებისათვის.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ესტონელი გარემოს დაცვითი ჯგუფის მიერ ჩატარდა 4 დღიანი ინტენსიური ტრენინგი თემაზე „მავნებელი დაავადებები და მათთან ბრძოლის მეთოდები“, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები და დაცვის სამსახურის უფროსები. ტრენინგი ასევე მოიცავდა საველე გასვლებს ტერიტორიაზე, სადაც პრაქტიკულად იქნა ნაჩვენები კვლევის სხვადასხვა ხერხები.

2015 წლის ივნისის თვეში სააგენტოსა და იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, ვიზიტორთა სპეციალისტი და რეინჯერი იმყოფებოდნენ ჩეხეთში (მორავია (სკალნიი მნილ), ტრენინგზე, სადაც განხილული იქნა: მღვიმეების მენეჯმენტი, ინფრასტრუქტურის მოვლა/პატრონობა, მონიტორინგის სისტემის გაცნობა და მონაცემთა ბაზევის მართვა, ეკოტურიზმის განვითარება, მღვიმეების პერსქპექტივების განსაზღვა და ტურიზმის მენეჯმენტის საკითხების შესწავლა;

2015 წლის ივნისის თვეში ჩეხი კოლეგები იმყოფებოდნენ იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიებზე, კერძოდ კი პრომეთესა და სათაფლიას მღვიმეებში, სადაც დამონტაჟდა მონიტორინგი სისტემა;

სააგენტოს, 5 დაცული **ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტმა და დაცვის**

სამსახურის უფროსებმა მიიღეს მონაწილეობა GIZ-ის ორგანიზებით ბოტანიკის ინსტიტუტში გამართულ **ტრენინგში** "საქართველოში ინვაზიური სახეობების საველე მონიტორინგი", რაც საფუძვლად უდევს შემდგომ ინვაზიური სახეობების მონიტორინგის განხორციელებას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ესტონელი გარემოს დაცვითი ჯგუფის მიერ ჩატარდა 4 დღიანი ინტენსიური ტრენინგი თემაზე „მავნებელი დაავადებები და მათთან ბრძოლის მეთოდები", რომელსაც ესწრებოდნენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები და დაცვის სამსახურის უფროსები. ტრენინგი ასევე მოიცავდა საველე გასვლებს ტერიტორიაზე, სადაც პრაქტიკულად იქნა ნაჩვენები კვლევის სხვადასხვა ხერხები.

ესტონელი გარემოს დაცვითი ჯგუფის მიერ, როგორც სააგენტოს თანამშრომლებს, ასევე კოლხეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, მტირალას, ეროვნული პარკის, თუშეთის, ჯავახეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების და ჭაჭუნას აღკვეთილის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებს და დაცვის სამსახურის უფროსებისათვის ჩაატარეს ტრენინგი ფრინველთა მონიტორინგის საკითხებზე. აგრეთვე მათ მიერ საცდელად 2 მტაცებელ ფრინველებს დაუმაგრდათ ტრანსმიტერები ტახტი-ტეფას ვულკანთან და არწივის ხეობაში, რისი საშუალებითაც განხორციელდება მონიტორინგი.

მიმდინარე წლის 25 და 26 აგვისტოს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების giz -ის მიერ ორგანიზებული იქნა ტრენინგები დაცული ტერიტორიებისა და ბათუმის ბოტანკური ბაღის თანამშრომლებისათვის. ტრენინგის მთავარ თემას წარმოადგენდა ინვაზიური არაადგილობრივი მცენარეების მონიტორინგი მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ტერიტორიებზე და იშვითიდა საფრთხეში მყოფი მცენარეთა პოპულაციების მონიტორინგი. 26 აგვისტოს პროექტის ფარგლებში გაიმართა საველე მონაცემთა შეგროვების სწავლება ქობულეთის აღკვეთილში ინვაზიურ სახეობებზე, როგორიცაა *Ambrosia artemissifolia* და *Polygonum*. ასევე გაიმართა ზღვის სანაპირო დიუნაზე ზღვის შროშანების ჰაბიტატის შესწავლა.

მონაწილეობა იქნა მიღებული კოლხური ბზის გადარჩენის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში სატყეო პოლიტიკის

ორგანიზებით ჩატარებულ შეხვედრაში, სადაც ასევე განხილული უკრაინელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიში;
მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს „წითელი ნუსხი“-ს მცენარეების აღდგენის პროგრამის განხილვაში;
მომზადდა საინტერპრეტაციო მასალები ბიომრავალფეროვნების შესახებ საქართველოს აგარარული უნივერსიტეტისათვის;
ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების მიზნით განხორციელდა შეხვედრები გურიაში „პონტოს მუხის ბუნების ძეგლის შექმნის შესახებ“;

3. ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

3.1 ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები

2015 წლის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა:

- ✓ შეხვედრები,
- ✓ ლექცია-სემინარები,
- ✓ ტრენინგები,
- ✓ ღონისძიებები მწვანე კალენდრის მიხედვით,
- ✓ ეკოგაკვეთილები ველზე,
- ✓ მწვანე აქციები,
- ✓ ეკოტურები
- ✓ სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

სულ 2015 წლის მდგომარეობით ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 85 814-მდე მოსწავლეს, 3 652 სტუდენტს, ჩრთული იყო 2283-მდე პედაგოგი. მოეწყო 4 667 ეკო-ტური, 840 ლექცია-სემინარი, 679 მოსახლეობასთან შეხვედრა, 120 მწვანე აქცია, 165 დასუფთავების აქცია.



დიაგრამა 1. 2015 წელს განხორციელებული ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები

3.2 სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში

2015 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ,,გორბის"-ს მიერ მომზადებული - ,,საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით".

საქართველოს დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- მოსახლეობის ცნობიერება;
- მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში;
- სარგებელი და ზარალი;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
- დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში, მენეჯმენტის გეგმაში მონაწილეობა, აღიქვამენ თუ არა ისინი, რომ წარმოადგენენ სამენეჯმენტო პროცესის შემადგენელ ნაწილს.

ალგეთის, აჯამეთის, ბაწარას, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისი, თუშეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მარიამჯვარის, მაჭახელას, მტირალას, იმერეთის მღვიმეების, ქობულეთის, ყაზბეგის, ჯავახეთის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გამოიკითხა 100 რესპოდენტი. სულ 1800 რესპოდენტი. პასუხები დამუშავდა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

3.3 მოხალისეთ პროგრამა

17 ივლისიდან 16 აგვისტომდე ლაგოდეხის, ბორჯომ-ხარაგაულის, მტირალას, თუშეთის და ოკაცეს დაცულ ტერიტორიებზე თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების პირველი კურსის სტუდენტების მოხალისეთა პროგრამა განხორციელდა. უკვე მესამე წელია მოხალისეთა პროგრამის ფარგლებში სტუდენტები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 10-10 დღის განმავლობაში კარვებში საველე პირობებში ცხოვრობენ. სტუდენტები გაეცნენ დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, მონაწილეობას იღებდნენ ტურისტული ზონების მოწესრიგებაში, მონაწილეობდნენ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, ჩართულები იყვენ რეინჯერებთან ერთად ყოველდღიურ საქმიანობაში და ასევე ეხმარებიან ადგილობრივ მოსახელობას.

დაცული ტერიტორიების სააგენტო სტუდენტებთან თანამშრომლობით საფუძველს უყრის პრაქტიკული განათლების ინოვაციურ მიდგომას. პროგრამა უზრუნველყოფს ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

2015 წელს მოხალისეთა პროგრამაში დაცულ ტერიტორიებზე აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების 600-მდე პირველკურსელი სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

3.4. თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან

2015 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტომ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს გაეროს ასოციაციაციასთან (UNAG), ფონდ ALPE-სთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი „აღმოაჩინე და შეიყვარე დაცული ტერიტორიები“. პროექტი 13 ოქტომბერს დაიწყო და 1 თვის მანძილზე გრძელდებოდა. მასში მონაწილეობა 50-მდე სტუდენტა მიიღო. პროექტის ფარგლებში მონაწილეებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელმა მარიამ თათარაშვილმა თბილისის ახალგაზრდული ცენტრის სტუდენტებს ლექციები შემდეგ თემებზე წაუკითხა:

- საქართველოს დაცული ტერიტორიები;
- ტყე და დაცული ტერიტორიები;
- ეკოტურიზმი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე;
- ჭარბტენიანი დაცული ტერიტორიები და ნარჩენების მართვა.

პროექტის დასკვნითი ღონისძიება ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გაიმართა, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ლაშა მოისწრაფიშვილი დაესწრო, მონაწილეები სერტიფიკატებით დააჯილდოვა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე ესაუბრა. ღონისძიების შემდეგ სტუდენტებისთვის ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტური მოეწყო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, შედგა შეხვედრა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სამი სოფლის: კოდის, წინწყაროსა და ხაიშის სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან. შეხვედრაზე დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელმა დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს დაცული ტერიტორიების კატეგორიებზე, ზონირებაზე, ეკოტურისტულ სერვისებზე, დაცულ ტერიტორიებზე აკრძალულ და დაშვებული საქმიანობების შესახებ. მოსწავლეებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ ისტორიებიც მოისმინეს. აღნიშნული პრეზენტაციებს 150 მოსწავლე დაესწრო.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ 2015 წელს განახორციელა პროექტი „ეკო-საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელება ეროვნული პარკის რეგიონში“, რომელიც დააფინანსა ამერიკის მშვიდობის კორპუსმა (Peace Corps) აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ეკო-საგანმანათლებლო აქტივობა ეროვნული პარკის მოსაზღვრე ყველა მუნიციპალიტეტის მოსწავლეებისათვის. პროექტის მთავარ სამიზნე ჯგუფად მოიაზრებოდა მოსწავლეები, ვისაც აქამდე არ ჰქონდა საშუალება ჩართულიყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა უმცირესობათა ჯგუფეზე, ისეთები როგორებიცაა: დევნილები, ეთნიკური უმცირესობის წარომადგენლები, მზრუნველობა მოკლებული ბავშვები და სხვ. პროექტის მონაწილე თითოეულმა სკოლამ წარმოადგინა ექვსი ბავშვისაგან შემდგარი გუნდი. პროექტის მიზანი იყო გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში და მათში გარემოს დაცვის მნიშვნელობის ცოდნის ზრდა. პროექტში სულ 39 სკოლის 234 მოსწავლე მონაწილეობდა.

ჩატარდა „რა? სად? როდის?“ თამაშები პროექტში ჩართულ ყველა მუნიციპალიტეტში. გამარჯვებულ სკოლებს გადაეცათ სერტიფიკატები და საგზურები აწყურის ერთკვირიან ეკო-ბანაკში, სადაც მონაწილეობა მიიღო ყველა მუნიციპალიტეტის გამარჯვებულმა სკოლამ.

პროექტის დასასრულს გაიმართა ეკო ბანაკი გამარჯვებული მოსწავლეებისათვის, რომელიც დატვირთული იყო მრავალი საგანმანათლებლო და გასართობი აქტივობით. ექვსი მუნიციპალიტეტის გამარჯვებული სკოლების მოსწავლეებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი და დაისახეს ერთობლივი მიზნები გარემოს უკეთ დასაცავად.

3.5. სტატისტიკა

2015 წლის მდგომარეობით სულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 105 948 ადამიანი, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.



2015 წელს ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში ჩაათულ ადამიანთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:



4. ეკოტურიზმი

4.1. ვიზიტორთა რაოდენობა

2015 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 518 218 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით 23%-ით არის გაზრდილი. აქედან საქართველოს მოქალაქე ვიზიტორთა წილი 65%, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა წილი 35%-ია.



დიაგრამა 1. ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით 2007-2015 წწ

ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობაც. 2015 წელს შემოსავლების 20%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 1 589 756 ლარი შეადგინა.



დიაგრამა 2. ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები წლების მიხედვით 2007-2015 წწ



დიაგრამა 4. ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით 2015 წ

სტატისტიკური მონაცემების მკიხედვით ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 24%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 23%-ით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ივნისში, ივლისსა და აგვისტოში.



დიაგრამა 5. საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორტა რაოდენობა 2015 წ



დიაგრამა 6. საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით 2015 წ

2015 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს, ყაზბეგის ეროვნულ პარკს, სათაფლიას, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ოკაცეს კანიონს.



დიაგრამა 7. ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2015

4.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სტატისტიკა

2015 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ვიზიტორი ისრაელიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და გერმანიიდან ესტუმრა საქართველოს.



დიაგრამა 8. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული

4.3. ახალი ტურისტული სერვისები

ჯავახეთის და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დაინერგა ახალი სერვისი სპორტული/სამოყვარლო თევზაობა, რაც მეთევზეებს განსაზღვრული რაოდენობის თევზის დაჭერის საშუალებას აძლევს. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლზე დაემატა ახალი სერვისი "სმარტ სელფი", ვიზიტორებს გადაღებული ფოტოები შეუძლიათ იხილონ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

4.4. სხვა განხორციელებული აქტივობები

- დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ განხორციელდა მარშრუტის ,,მამკოდა-ვეჯინის ხეობა-დიდველი-ზედაზენი-საგურამო“-ს გავლა, მოინიშნა საპიკნიკე, ცეცხლის დასანთები, საკარვე ადგილების და მანიშნებლების კოორდინატები. ამასთან საინტერპრეტაციო და საინფორმაციო დაფებისათვის გათვალისწინებული ადგილებიც. ბილიკი საშუალო სირთულისაა, საერთო სიგრძემ 25,5კმ შეადგინა.
- შემუშავდა განახლებული ტარიფები მომსახურების სახეების მიხედვით იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისა და ოკაცესთვის, ზოგიერთ სერვისზე განისაზღვრა ღირებულების ცვლილება.

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

<u>საერთაშორისო ტურისტული გამოფენები</u>

- საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ 2015 წელს მონაწილეობა მიიღო შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში:

- IMTM (თელ ავივი, ისრაელი)
- ITB Berlin (ბერლინი, გერმანია)
- UITT (კიევი, უკრაინა)
- AITF (ბაქო, აზერბაიჯანი)
- KITF (ალმაატა, ყაზახეთი)

ვიზიტის ფარგლებში, ასევე ჩამოყალიბდა მედია ურთიერთობები საერთაშორისო ტელევიზიებთან, კერძოდ: World Travel Channel და აზერბაიჯანის რეგიონალური ტელევიზია. შედგა შეხვედრები ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებთან.

შედეგად, გაიზარდა დაცული ტერიტორიების ცნობადობა საერთაშორისო დონეზე. ჩამოყალიბდა საერთაშორისო მედია ურთიერთობები, დამყარდა კონტაქტები ტურ-ოპერატორებთან.

- საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯია“-ში მე-17 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა გაიმართა, სადაც დაცული ტერიტორიების სააგენტომ მიიღო მონაწილეობა და ტურისტულ კომპანიებს, სასტუმროების წარმომადგენლებსა და სხვა ვიზიტორებს გააცნო დაცული ტერიტორიები.

<u>ღონისძიებები</u>



- დედამიწის დღესთან დაკავშირებით, 11 დაცული ტერიტორიის დაარსებიდან 12 წლის იუბილე გაიმართა. 2003 წლის 22 აპრილს პარლამენტის მიერ ძალაში შევიდა საქართველოს კანონი -„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომელიც ეხება საქართველოს 8 ახალი დაცული ტერიტორიების შექმნისა და 3 არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას.

- სასტუმრო „თბილისი რუმს“-ში ჯავახეთის ეროვნული პარკის პრეზენტაციასთან დაკავშირებით ოფიციალური მიღება გაიმართა.

- დაცული ტერიტორიების სააგენტომ ოფიციალურად გახსნა ჯავახეთის ეროვნული პარკი. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები, გუბერნიის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

  სტუმრები გაეცნენ ჯავახეთის ვიზიტორთა ცენტრს და დაათვალიერეს ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურა.

  ჯავახეთის ეროვნული პარკის პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ და გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით დაფინანსდა. პროექტი განხორციელდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) -ის მიერ.

პროექტის ფარგლებში დაცული ტერიტორიებისთვის აშენდა ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი, მოეწყო ვიზიტორთა ინფრასტრუქტურა, სრულად აღიჭურვა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია.

- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, თვინინგის პროექტის - „საქართველოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაძლიერება" - დახურვის ღონისძიება გაიმართა.

- 22 სექტემბერს, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შენობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები განხორციელდება, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

- 28 სექტემბერს, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ევრო დიპლომის გადაცემის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ევრო დიპლომი ევროკავშირის დემოკრატიული

ინიციატივების დეპარტამენტის თავმჯდომარე ელადიო ფერნანდეს-გალიანომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს გიგლა აგულაშვილსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ლაშა მოისწრაფიშვილს პირადად გადასცა.

- 9-11 ოქტომერს ბათუმში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს დაცულიტერიტორიების 19 ადმინისტრაციის ხელმძღვანელები დაესწრნენ და 2015 წლის შემაჯამებელი ანგარიშები წარმოადგინეს.

- 17 ნოემბერს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე გრიგალავამ აგრარულ უნივერსტეტში დაცული ტერიტორიების კუთხე გახსნა.

სტუდნეტებსა და უნივერსტეტის სხვა სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ, ამომწურავი ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე მიიღონ.

- 24 ნოემბერს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში ბორჯომ-ხარაგაულის სახელმწიფო ნაკრძალის 80, ხოლო ეროვნული პარკის 20 წლის საიუბილეო ღონისძიება გაიმართა.

<u>სარეკლამო ღონისძიებები და საინფორმაციო მასალები</u>

- რეინჯერის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა დოკუმეტური ფილმების სერია (ოთხი 10-წუთიანი ფილმი) ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების რეინჯერების საქმიანობაზე.

- მომზადდა და დაიბეჭდა 2016 წლის კალენდარი.



- მომზადდა და დაიბეჭდა საქართველოს დაცული ტერიტორიების ამსახველი 196-გვერდიანი საიმიჯო ფოტო-ალბომი - „საქართველოს დაცული ტერიტორიები.

- სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლში“ მოეწყო დაცული ტერიტორიების შოუ რუმი, სადაც 5 დღის მანძილზე წარმოდგენილი იყო ცოცხცალი ბუნების კუთხე, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტომ მოუწყო თბილისის მოსახლეობას. აქციის ფარგლებში მომზადდა სამენოვანი ვიდეოკლიპი, რომელიც ვირუსული რეკლამის სახით გავრცელდა ფეისბუქის საშუალებით.

- მომზადდა სატელეფონო აპლიკაცია „კავახეთის დაცული ტერიტორიები“ სადაც შეტანილია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების რუქა, ღირშესანიშნაობები, ტურისტული ბილიკები, სერვისები, განთავსების საშუალებები, კვების ობიეექტები და ტურისტებისათვის საინტერესო სხვ. ინფორმაცია.

<u>მედია საშუალებები (სოციალური მედია)</u>



- ფეისბუქის გვერდზე გაუმჯობესდა სტატისტიკა, ბოლო სამ თვეში მოწონებების რაოდენობა გაიზარდა 3 000-ით. გაუმჯობესდა სხვა სტატისტიკური მონაცემებიც.

შეიქმნა ბლოგი „შემოიარე საქართველო“

გასეირნება მტირალაზე

- ✓ დაცული ტერიტორიების შესახებ სიუჟეტი გავიდა ცნობილ გერმანულ მედია საშუალება „დოიჩე ველეში“
- ✓ დაცული ტერიტორიებით, კონკრეტულად მარტვილის კანიონით დაინტერესდა national geographic-ი და დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობა.

- ➢ დაცული ტერიტორიების შესახებ 12 თვის განმავლობაში 457 სიუჟეტი გადაიცა სხვადასხვა მედია-საშუალებებში;
- ➢ სააგენტოს თანამშრომლები და სხვადასხვა ტერიტორიის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფორმატის ტელე და რადიო გადაცემებში.

საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტების მართვის სამსახური

<u>სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი</u>

KfW/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ეკორეგიონის კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასია

- ➢ პროექტის სამიზნე დაცული ტერიტორიებისათვის დასრულდა საზოგადოების აღქმის შეფასების კვლევა და შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგიები.
- ➢ სოციალურ-ეკონომიკური საბაზისო კვლევის ფარგლებში განხორციელდა საველე გასვლები ფშავ-ხევსურეთში.
- ➢ ჩატარდა მონაცემთა დამუშავების ტრენინგი ალგეთში, ყაზბეგსა და კინტრიშში. დასრულდა ალგეთის ეროვნული პარკის დემარკაცია. დასრულდა ბოტანიკურ ბაღში საინფორმაციო დაფების დამონტაჟება.
- ➢ ალგეთის, ყაზბეგისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის მოხდა GPS მოწყობილობების შეძენა. ოთხივე დაცული ტერიტორიისთვის განხორციელდა საოფისე და საველე აღჭურვილობის შესყიდვა.

- დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმდა, დაიგეგმა და მიმდინარეობს ტრენინგები კომპიუტერულ პროგრამებსა და ინგლისურ ენაში ალგეთის, ყაზბეგისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების თანაშრომლებისთვის.
- ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება". ტრენინგის ფარგლებში, განხორციელდა პროექტის სამიზნე დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული წვრთნა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების კუთხით.
- მიმდინარეობს ცნობიერების ამაღლების კამპანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. მზადდება ტრენინგ მოდულები. მომზადების პროცესშია ეკო-ტურიზმის ტექნიკური დავალება. მიმდინარეობს პროგრამის Triple I კომპონენტი.
- დაარსდა და აქტიურად მუშაობენ რეგიონული მრჩეველთა საბჭოები.
- სააგენტოსთან და სამინისტროსთან მოხდა შეთანხმება ტექნიკური დავალების მომზადების თაობაზე, რათა მოხდეს იურიდიული/აუდიტორული კომპანიის დაქირავება კანონში შესატანი ცვლილებების ადმინისტრაციების (ფინანსურ) დეცენტრალიზაციასთან, შემოსავლების მოზიდვასთან დაკავშირებული აქტივობების, მეგობართა ასოციაციებისთვის გადაცემასთან და მმართველობის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისა და მომზადებისთვის.
- მომზადდა სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის გეგმარებით დაცულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის ანალიზი და წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს. სამიზნე დაცული ტერიტორიებისათვის შეიქმნა მეგობართა ასოციაციები.
- 2015 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სოციო-ეკონომიკური კონკურსები (FPA) სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობისათვის.
- მოეწყო სასწავლო ტური გერმანიაში, რომელსაც დაესწრნენ ალგეთის, ყაზბეგისა და კინტრიშის თანამშრომლები და ამ დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციების დირექტორები. ტურის მთავარ თემად შეირჩა მმართველობა და ბიომრავალფეროვნება.
- პროექტის ფარგლებში მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლის დაფინანსება ბერლინის საერთაშორისო ტურიზმის გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.
- პროექტის ფარგლებში მოხდა დაცული ტერიტორიების თანამშომლის დაფინანსება იტალიაში ევროპული დიპლომის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე დასასწრებად.

დაცული ტერიტორიები - მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი

- მიმდინარე წლის 11 მარტს, WWF-ის ორგანიზებით გაიმართა ცენტრალური კავკასიონისთვის (მსოფლიო ბუნების მემკვიდროების სიაში შეტანის კანდიდატი) ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების. მომზადდა შესაბამისი ანგარიში და მიმდინარეობს სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა.

დაცული ტერიტორიებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება - ProPark

- მიმდინარე წლის მარტის თვეში, გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვისთვის შესაძლებლობების გაძლიერების გეგმების შემუშავება“ ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გერმანიაში ჩატარდა დახურვის ღონისძიება და გეგმის განხილვა. გეგმის საბოლოო ვერსია წარედგინება სააგენტოს. გარკვეული პერიოდით დაგეგმილია პროექტის გახანგრძლივება.

ენერგოტრანსი - ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის საკომპენსაციო ღონისძიებები

- „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის პროექტი“-ს განახლებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის იანვარში დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლები შეხვდნენ ევროკავშირის წარმომადგენლებს. პარალელურად მოლაპარაკებები მიმდინარეობდა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის გერმანიის ფილიალთან, რომელმაც კომპენსაციის ჩარჩო ხელშეკრულების განსაახლებლად ხელახალი წინადადება წარადგინა ევროკავშირის სამეზობლო ფონდში. აღნიშნულ პროცესში სააგენტო აქტიურად იყო ჩართული და უზრუნველყო ყველა მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება. შედეგად მოხდა გრანტის დაბრუნება და განახლდა დაგეგმილი ღონისძიებები.
- გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სატენდერო რეგულაციების შესაბამისად ჩატარდა ტენდერი რეინჯერთა თავშესაფარისა და საკომპენასციო ღონისძიებების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის თაობაზე და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები.

ევროპული დიპლომი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის

- მომზადდა კომენტარები ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებულ ანგარიშზე ევროპულ დიპლომთან დაკავშირებით. 2015 წლის 12 მარტს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბერიძე და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი მერაბ ფიროსმანიშვილი იმყოფებოდნენ საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, სადაც დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების თაობაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
- 28 სექტემბერს ევროპის საბჭოს დემოკრატიული ინიციატივების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ელადიო ფერნანდეს-გალიანომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ოფიციალურად გადასცა ევროპული დიპლომი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის.

- აღსანიშნავია, რომ ევროპული დიპლომი ევროპის მასშტაბით მხოლოდ 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული. აღნიშნული ჯილდოს გადმოცემა ხელს შეუწყობს საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე.
- ნოემბერში მომზადდა ყოველწლიური ანგარიში და გადაეგზავნა ევროპის საბჭოს სამდივნოს.

ეროვნული დაცული ტერიტორიების ქსელის მართვა და ბუნების პრაქტიკული კონსერვაცია

- 27 აპრილიდან 1 მაისამდე დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ადმინისტრაციების 6 თანამშრომელი ესტონეთში გაემგზავრნენ. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები და სემინარები ესტონეთის გარემოსდაცვით საბჭოში. დაცული ტერიტორიების თანამშრომლებმა მოისმინეს სემინარები თემაზე ტყის პათოლოგიები, ინვენტარიზაცია, სატყეო მეურნეობის შექმნა, ტყის ზიანის შეფასება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის დაცვის პრაქტიკული მართვა.
- მაისში გაიმართა სემინარები ბორჯომში, სადაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს 25-მა თანამშრომელმა მოისმინა ლექციები ტყის პათოლოგიების, მავნებლებისა და ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის შესახებ. ადგილზე მოხდა დაავადებული ხეების იდენტიფიცირება და მოვლის მეთოდების განსაზღვრა. ასევე ტყის ინვენტარიზაციისა და საკაფი ტყის გამოყოფის პრაქტიკული ჩვენება.
- მიღებული ცოდნა და გამოცდილება დაეხმარება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისა და ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს ტყეში ფიტო-პათოლოგიური გამოკვლევების ხარისხისა და ტყის საქმიანობის გაუმჯობესებაში.
- 30 ივნისიდან 8 ივლისამდე პროექტის „ეროვნული დაცული ტერიტორიების ქსელის მართვა და ბუნების პრაქტიკული კონსერვაცია“ ფარგლებში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ესტონელი ექსპერტები სტუმრობდნენ. განხორციელდა „შავი ყარყატის საპილოტე პროექტი“, რომლის ფარგლებში ორ ფრინველს დაუმაგრდა გადამცემები, ხოლო ერთი გადამცემი საჩუქრად გადაეცა სააგენტოს. სპეციალური სატელიტური პროგრამის საშუალებით ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი სვავზე, რომელსაც გადამცემი დაუმაგრეს. მან გადაკვეთა საქართველო და ფიქსირდება ირან-პაკისტანის საზღვარზე.
- პროექტი ხორციელდება ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით.

USDOI - ტრენინგები დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთათვის

- მიმდინარე წლის დასაწყისში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაუტარდათ საორიენტაციო საფეხურის ტრენინგები თემაზე „დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა“. სულ კვალიფიკაციის ამაღლება გაიარა სააგენტოს 15-მა თანამშრომელმა. ტრენინგები მოიცავდა ისეთ თემებს როგორიცაა: რესურსების მართვა დაცულ ტერიტორიებზე, ვიზიტორთა მომსახურება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და განათლება, ინსტიტუციური განმტკიცება, მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა. დეკემბერის თვეში დაიწყო ტრენინგების ახალი კურსი სააგენტოს 9 ახალი თანამშრომლისთვის.

ევროკავშირი/დაცული ტერიტორიების სააგენტო - თვინინგის პროექტი

- პროექტის ფარგლებში განხორციელდა აჯამეთის აღკვეთილი ტყის ინვენტარიზაცია. დასრულდა იმერეთის, აჯამეთის, ლაგოდეხისა და მტირალას მენჯმენტის გეგმები. დასრულდა ლაგოდეხის საძოვრების მენეჯმენტის გეგმის შემუშავება.
- განხორციელდა ოკაცეს კანიონის უსაფრთხოების შეფასება და TUV-ის ექსპერტის მიერ მომზადდა ანგარიში.
- ჩეხმა ექსპერტმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა კომუნიკაციის სტრატეგია.
- მიმდინარე წლის ივნისში იმერეთსა და თბილისში დაცული ტერიტორიების ცენტრალური აპარატისა და ადმინისტრაციის 30 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი მენეჯმენტის გეგმის შემუშავების შესახებ. მაისის თვის ბოლოს გაიმართა პროექტის დასკვნითი კონფერენცია. მომზადდა სამიზნე დაცული ტერიტორიების საოპერაციო გეგმები.

CNF/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ცხრა დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება

- მიმდინარე წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა 6 საგრანტო შეთანხმებას, მათ შორის 4 ახალს (ჯავახეთი, ყაზბეგი, ალგეთი, კინტრიში) და 2 განახლებულს (ვაშლოვანი და თუშეთი). კავკასიის ბუნების ფონდიდან (CNF) სააგენტოში გადმოირიცხა 2015 წლის თანხის მეორე ნაწილი საიდანაც დაფინანსდა 9 პარკის სახელფასო და კვების დანამატი; ასევე ფონდმა 50%-ით დააფინანსა პარკის ადმინისტრაციების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა. შემუშავდა კონფლიქტის გეგმა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ასევე ტურიზმის სტრატეგიები ბორჯომსა და ვაშლოვანში.
- 9 ივნისს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, საქველმოქმედო „ფონდ ქართუ“-სა და „კავკასიის ბუნების ფონდს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მომზადდა პროექტი ვიზიტორთა ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. დასრულდა გურგენიანის სარეინჯერო სახლის რეაბილიტაცია და მოეწყო ეზოს მესერი.
- მიმდინარეობს თანამონაწილეობრივი დოკუმენტის შემუშავება ნაკრესის ფონდთან ერთად -„ბორჯომი-ხარაგაულის წითელი ნუსხის სახეობების მონიტორინგი და მონიტორინგის გეგმის შემუშავება“. განხორციელდა ირმის, ფოცხვერისა და დათვის მონიტორინგი, ამჟამად მიმდინარეობს მონაცემების ანალიზი. დეკემბერში დაიწყო არჩვის მონიტორინგი უპილოტო საფრენი აპარატით დრონით.
- გამოცხადდა ტენდერი და შეირჩა კომპანია, რომელმაც განახორციელა საპიკნიკე ფარდულისა და სანიტარულ-ჰიგიენური კვანძის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს ვიზიტორთა ცენტრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც დასრულდება იანვარში. მიმდინარეობს მუშაობა ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის გეგმაზე, რომელიც დასრულდება დეკემბრის ბოლოს.
- მიმდინარე წლის 4 დეკემბერს გაფორმდა პარკის ადმინისტრაციების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევისა ხელშეკრულება დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და კავკასიის ბუნების ფონდს შორის.

- გაფორმდა ხელშეკრულება ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სადისპოზიციო ფონდის დაუხარჯავი თანხების გადმოცემის თაობაზე, რომელსაც ხელი მოაწერეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა და კავკასიის ბუნების ფონდის პროგრამის დირექტორმა.

EU/ClimaEast/UNDP - ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობა

- შეძენილ იქნა 2 ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც დამონტაჟდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. მოხდა პოტენციური საუკეთესო პრაქტიკის შერჩევა საპილოტე ფერმებში განსახორციელებლად.
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის შემუშავდა წყლის ბალანსის მოდელი. გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და UNDP-ს შორის.
- თბილისში ჩატარდა საძოვრების მართვის სფეროში დაინტერესებულ მხარეთა მესამე შეხვედრა. ნოემბერში დასრულდა საძოვრების მართვის გეგმაზე მუშაობა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.
- 13 ნოემბერს სამუხში მოხდა ცხვრის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის პრეზენტაცია. მოეწყო სამი დასაწყურებელი 9 ფერმისთვის. გაუმჯობესდა წყალმომარაგება სამუხის ველის ტერიტორიაზე. მიმდინარეობს თუში მეცხვარეებისთვის ვეტერინარული მომსახურების ჩამოყალიბება.
- მიმდინარეობს ვაშლოვანში საპილოტე ფერმების მოწყობა და ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურის მონტაჟი, რომელიც ჩაერთვება ერთიან ეროვნულ ქსელში და უწყვეტ რეჟიმში მოხდება ინფორმაციის მიწოდება.

რეფერალური ცენტრის მოწყობა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე

- ჯანდაცვის სამინისტროსთან გაიმართა მოლაპარაკებები ომალოში შესაბამისი შტატების გამოყოფის თაობაზე. ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ მოხდა ავტომანქანისა და სამედიცინო აღჭურვილობის ნაწილის შეძენა.

ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხერთ კავკასიაში (II ფაზა)

- მიმდინარე წლის მარტის ბოლოს გაიმართა TJS-ის მეორე ფაზის დახურვა. პროექტის ფარგლებში დასრულდა ტურიზმის სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. გარდა ამისა, დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა.
- ხელი მოეწერა ახალ მესამე ფაზას, რომელიც სამი წელი გაგრძელდება. ახალი ფაზის ფარგლებში პირველი ოფიციალური მოსამზადებელი სამუშაო შეხვდერა (Inception workshop) შედგა 13 ოქტომბერს. ამჟამად პროექტი იმყოფება მოსამზადებელ პერიოდში და მუშაობს დეტალური სამუშაო გეგმის შედგენაზე.

პარალელურად მიმდინარეობს შემდეგი აქტივობები:

1. დაცული ტერიტორიების დახმარების პროექტის ფარგლებში განხორციელებული ფინანსური-თანამონაწილეობრივი მიდგომის მეთოდოლოგიით (FPA) განხორციელებული კონკურსების შეფასება-ანალიზი და რეკომენდაციებზე მუშაობა.
2. ფინანსური-თანამონაწილეობრივი მიდგომის მეთოდოლოგიაში ტრენინგების დაგეგმვა და მზადება მათ ჩასატარებლად. ტრენინგების ჩატარების ვადაა 2016 წლის მარტი;
3. მზადება ბერლინის ტურისტული გამოფენა-ბაზრობისთვის, რომელიც ჩატარდება 2016 წლის მარტში.
4. დაწყებულია მუშაობა დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე. რომლის დასრულების სავარაუდო ვადაა 2016 წლის მარტი.

GIZ - თუშეთის დაცული ტერიტორიები/ეროზიის კონტროლი

- მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან დაიწყო პროექტი „ზამთრის სკოლა“. პროექტის ფარგლებში 20-ზე მეტმა მონაწილემ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროდან მოისმინა ტრენინგები ბიო-ფერმერობაში და ინგლისურ ენაში.
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები კომპენსაციის მექანიზმის შემუშავების საკითხზე.
- გაიმართა კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეირჩა ტერიტორიები, სადაც ჩატარდება საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებები.
- აპრილში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე “საძოვრების მართვის მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკები”.
- 7-14 ივნისს მოეწყო სასწავლო ტური გერმანიაში, ბავარიის ალპებში. მასში მონაწილეობას იღებდნენ თუშეთის დაცული ტერიტორიებისა და დაცული ლანდშაფტის დირექტორები, ასევე თუშეთის თემის წარმომადგენლები. სასწავლო ტურის მიზნები იყო:

    - ცოდნის მიღება სამართლებრივი ჩარჩოებისა და წამახალისებელი სისტემების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ეროზიის პრევენციის მართვის სისტემების განვითარებას;
    - სასწავლო გამოცდილების მიღება ტყის და საძოვრების მართვის სისტემებთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე;
    - სასწავლო გამოცდილების მიღება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ადგილობრივ ინიციატივებთან დაკავშირებით.

- მიწის ეროზიისაგან დაცვისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის ეროზირებული და დეგრადირებული საპილოტე ტერიტორიების შერჩევის მიზნით 1-7 ივლისს თუშეთში იმყოფებოდა ორი საერთაშორისო ექსპერტი - გეოლოგი და ბიო-საინჟინრო ღონისძიებების სპეციალისტი. მათ საპილოტე პროექტისათვის შეარჩიეს ორი სოფელი - შენაქო და ჯვარბოსელი.

- ივლის-აგვისტოში შერჩეულ თემთან (შენაქო, ჯვარბოსელი და ომალო) ერთად თანამონაწილეობრივი გზით მიმდინარეობდა „თუშეთის ეკომოდელზე“ მუშაობა. პროცესში ჩართულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი და სოციო-ეკონომისტი.

- მიმდინარეობს მუშაობა ეკომოდელის „კონსტიტუციაზე“ (წესდებაზე) რომელიც დეტალურად ასახავს იმ ვალდებულებებს, რომელიც უნდა შეასრულონ მოდელში გაერთიანებულმა ფერმერებმა თუ სასტუმროებმა. შეირჩა მსურველი ფერმები, სასტუმროები და მცირე მწარმოებლები და დეტალურად მიეწოდა ინფორმაცია თემის პრაქტიკულად ყველა წევრს.

- ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები და იგეგმება მათი შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერება. შეიქმნა ადგილობრივი ფერმერებისგან შემდგარი კოოპერატივი. ჩატარდა შეხვედრა საოჯახო სასტუმროებთან. დაიგეგმა ასოციაციის შექმნა.

- ივლის-აგვისტოს განმავლობაში დაიგეგმა პილოტური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საძოვრების როტაციულ გამოყენებას (შენაქო, ჯვარბოსელი და ომალო).

- სექტემბერში ჯვარბოსელში მოინიშნა ტერიტორია ტყის გაშენებისთვის, შემუშავდა რეკომენდაციები, მოხდა საექსპერიმენტოდ სხვადასხვა სახეობის მცენარის დარგვა. დაიგეგმა და მოინიშნა ტერიტორია შენაქოში და ჩამონტაჟდა საზღვრის ნიშნულები. ტერიტორია დაიყო 3 ნაკვეთად.

აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება

- დასრულდა მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრების დემარკაცია. მაჭახელას ეროვნული პარკის დროებითი ოფისისთვის (სოფ. აჭარისაღმართი) ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, მოხდა საჭირო ავეჯისა და სხვა ინვენტარის შეძენა.

- ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემის ტურიზმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი ორგანიზაცია. დოკუმენტების შემუშავება დასრულდება 2016 წლის მეორე კვარტალში.

- ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა აჭარის დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის შეფასებისა და განვითარების დაგეგმვის კონტრაქტორი ორგანიზაცია. სამუშაოები დაიწყო ოქტომბრის თვეში და დასრულდება 2016 წლის მეორე კვარტალში.

- გამოვლინდა ექსპერტი, რომელიც ჩაატარებს შეშის საჭიროების შეფასებისა და ალტერნატივების გამოვლენის კვლევას. სამუშაოები დაიწყო სექტემბერში და წლის ბოლოს დასრულდება.

- შეთანხმდა, რომ აჭარის მთავრობა და გარემოს დაცვის სამმართველო აჭარის დაცული ტერიტორიების აერო-ფოტოებს უსასყიდლოდ გადასცემს სააგენტოს.

- პროექტის ფარგლებში მოხდა მაჭახელას ხეობის ეროვნული პარკის ორთო აერო ფოტოსურათების დამუშავება.

- შემუშავდა მაჭახელასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა. დეკემბრის ბოლოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან

ერთად მოხდა გეგმის განხილვა, რის საფუძველზეც შემუშავდება პროექტის 2016 წლის სამოქმედო გეგმა.

- ჩამოყალიბდა აჭარის დაცული ტერიტორიების ტექნიკური საკოორდინაციო ჯგუფი და გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა. განხილული იქნა აჭარის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მიმდინარე სხვადასხვა პროექტების აქტივობები. ასევე გაიმართა მსჯელობა მაჭახელას დაცული ტერიტორიების შესაძლო სამომავლო კატეგორიების შესახებ.

- მაისში მენეჯმენტის საკითხებში ეროვნული ტექნიკური მრჩევლის მიერ მომზადდა ტექნიკური დავალება ეკოსისტემების ღირებულების შეფასების სამუშაოსათვის და აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ტექნიკური დავალება.

- მაისში დასრულდა მუშაობა მაჭახელას ეროვნული პარკის რესურსების ინვენტარიზაციისა და მეპინგის ტექნიკურ დავალებაზე და გამოცხადდა ტენდერი. ივნისში შეირჩა სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორი კომპანია.

- ივნისში თემების ჩართულობის საკითხში ეროვნული ექსპერტის მიერ მომზადდა საშეშე მერქნის მოხმარების, საჭიროებების და ალტერნატივების კვლევის ტექნიკური დავალება და რესურსების ინვენტარიზაციისა და მეპინგის კვლევის ტექნიკური დავალება.

- ჩატარდა პროექტის აღმასრულებელი საბჭოს მეორე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ დაცული ტერიტორიებისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი პირები.

- ივლისში დაიწყო კონტრაქტორი კომპანიის მიერ რესურსების ინვენტარიზაციისა და მეპინგის სამუშოები.

- ეკოსისტემების ღირებულების შეფასებისთვის მოხდა ექსპერტის აყვანა. ნოემბრის თვეში ექსპერტმა წარმოადგინა შუალედური ანგარიში.

CzDA/ISCA - იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესება

- 15-23 ივნისს განხორციელდა დაცული ტერიტორიების 4 თანამშრომლის ვიზიტი ჩეხეთში. ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჩეხეთის კარსტული მღვიმეების მართვის მრავალწლიანი გამოცდილების გაცნობა, მღვიმეთა მონიტორინგის სისტემისა და ვიზიტორთა მომსახურების სფეროში. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში თანამშრომლებმა მოინახულეს 7 ტურისტული და 1 სამკურნალო დანიშნულების მღვიმე.

- ივნისის თვეში იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებს ჩეხი სპელეოლოგები ესტუმრნენ. მათ განხორციელეს მღვიმეების კვლევითი აპარატურით აღჭურვა. საწურბლიას, პრომეთეს, სათაფლიას და დათვის მღვიმეებში დამონტაჟდა ტენიანობის

და ტემპერატურის საზომი მოწყობილობა. ამავდროულად ადმინისტრაცია აღიჭურვა მღვიმის მიკროკლიმატის შემადგენლობის შემსწავლელი მოწყობილობით.

- პროექტის ფარგლებში ნოემბრის დასაწყისში განხორციელდა ჩეხი ექსპერტების პირველი ვიზიტი და მღვიმეებში აპარატურის დამონტაჟება.
- ნოემბერის თვეში განხორციელდა ჩეხი ექსპერტების ვიზიტი იმერეთის მღვიმეებში, სადაც მოხდა დამონტაჟებული აპარატურიდან ინფორმაციის ამოღება, თანამშრომელთა დატრენინგება ინფორმაციის გადმოწერასა და დამუშავებაში. მიღებული მონაცემები დამუშავდება ჩეხეთში და სააგენტოს ანგარიშის სახით გადმოეგზავნება.
- პროექტის ფარგლებში ადმინისტრაციას გადაეცა პერსონალური კომპიუტერი, სადაც მოხდება მონაცემთა ბაზის შექმნა და მონაცემების დამუშავება.

CzDA- ტრადიცული მეურნეობის ხელშეწყობა თუშეთში

- მიმდინარე წლის აპრილში ალვანში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი კარტოფილის მწარმოებლების კოოპერატივის შექმნის სფეროში. ტრენინგს ესწრებოდა 15 მონაწილე.
- საგაზაფხულო პარსვის დასრულების შემდეგ, დედოფლისწყაროში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი მეცხვარეთა კოოპერატივის რეგისტრაციის აქტიური მსურველებისათვის.
- ივნისის თვეში მოხდა კოოპერატივის შექმნის მსურველთა გამოვლენა, წესდებების ფორმულირება, კოოპერატივების რეგისტრაცია. რეგისტრაციის პროცესს (ანუ საჯარო რეესტრის სააგენტოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოში განხილვებისას) დაესწრნენ სწავლებებში მონაწილე ექსპერტები. დარეგისტრირდა 2 კოოპერატივი: „თუშური ოქროს საწმისი“ (მატყლის წარმოების მიმართულებით) და „თუშეთის ნობათი“ (სოფლის მეურნეობის მიმართულებით).
- მოხალისეების მიერ ჩატარებული სამუშაოს მონიტორნგი ჩაატარეს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და ჩეხმა ექსპერტებმა.
- ივნისში დაარსებულმა კოოპერატივებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა. „თუშეთის ნობათი“-ს მიერ, რომელიც მუშაობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, შეირჩა სადემონსტრაციო ნაკვეთები დართლოში, შენაქოსა და ომალოში და მიმდინარეობს მათი მოწყობა. კოოპერატივი გეგმავს რამოდენიმე სახეობის ბოსტნეულის და მწვანილეულის (კარტოფილი, სტაფილო, ტარხუნა) მაღალპროდუქტიანი ჯიშების მოყვანას.
- კოოპერატივი „თუშური ოქროს საწმისი“, რომელიც მატყლის წარმოების მიმართულებით მუშაობს, აწარმოებს მოლაპარაკებებს ადგილობრივ მეწარმესთან, რომელიც შეიყიდის ბატკნის მატყლს, კრაველს, რომელსაც აქვს წვრილბოჭკოვანი ღერო და გამოიყენება საფეიქრო მრეწველობაში.

- რაც შეეხება ცხვრის მატყლს, ის უფრო გამოიყენება სამაუდო წარმოებაში. ჩეხეთის მხარე დაეხმარება კოოპერატივს ბაზრის მოპოვებაში. მატყლის ნიმუშები გაგზავნილია დიდ ბრიტანეთში, სადაც ჩატარდება მატყლის ლაბორატორიული ანალიზი და მარკეტინგული კვლევა, რაც დაეხმარება კოოპერატივს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში.

- 28–30 ნოემბერს პროექტის ფარგლებში თუშეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივებების წევრებისა და ფერმერებისთვის მოეწყო სასწავლო ტური ჯავახეთის რეგიონში. სასწავლო ტურის ფარგლებში ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე: „ახალქალაქის კარტოფილი, როგორც გეოგრაფიული ადგილწარმოშობის პროდუქტი, ბრენდირების საკითხები, სპეციფიკაციები და ახალი ტექნოლოგიები“, აგრეთვე განხილული იქნა კარტოფილის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ტყის ინვენტარიზაციის პროექტი

- პროექტის ფარგლებში 9-11 სექტემბერს ჩეხი ტყის სპეციალისტები დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტთან და ეროვნული პარკის რეინჯერთა სამსახურის უფროსთან ერთად გაემგზავრნენ ტყის მონიტორინგზე გომეწრისა და ჩაღმის ხეობებში.

- ჩატარდა შეხვედრა და მოხდა შეთანხმება, რომ პირველ რიგში მოხდება საპილოტე ტერიტორიის ტყის ინვენტარიზაცია.

- 7-13 დეკემბერს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი გიორგი კაპანაძე, დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ავთანდილ მიქაბერიძე, თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსი ონისე იჭირაული და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორი ზაზა ლაგაზიძე გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩეხეთში იმყოფებოდნენ. მათ მოისმინეს სემინარი ჩეხეთის სატყეო მენეჯმენტის თემაზე და გაეცნენ ტყითმოწყობის ჩატარების პრინციპებსა და მეთოდებს ველზე.

ეკოტურიზმის განვითარება და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე

- მარტის ბოლოს ჩატარდა ჩეხი ექსპერტების წინასამუშაო შეხვედრა თუშეთის დაცული ლანდშაფტის და ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან. დაზუსტდა პროექტის "შერჩევითი ღონისძიებების განხორციელება თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმიდან" ფარგლებში შესასრულებელი ამოცანების დეტალები. დადგინდა და დაიგეგმა სამი მარშრუტის მონიშვნა.

- სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის რეინჯერებით, ჩეხი ექსპერტებით და 25 მოხალისე სტუდენტით.
  მოინიშნა შემდეგი ბილიკები:
  - ომალო-ხახაბო-კეხი
  - ომალო(სოფელი)-ომალო(ბოსელი)
  - ომალო-დართლო
  - დართლო-კვავლო-დანო-ჭეშო
  - ომალო-შენაქო
  - შენაქო-აგეურთა
  - ღელე-ვერხოვანი

მოხალისეების მიერ ჩატარებული სამუშაოს მონიტორნგი განახორციელეს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და ჩეხმა ექსპერტებმა.

ჯავახეთის ეროვნული პარკის გახსნა

- 30 ივლისს ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე ჯავახეთის ეროვნული პარკის გახსნის ღონისძიება გაიმართა. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები, გუბერნიის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი ეპარქიის წარმომადგენლები.

- სტუმრები ადგილზე გაეცნენ ჯავახეთის ვიზიტორთა ცენტრს და დაათვალიერეს ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურა. ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნის პროექტი დაფინანსდა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ და გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით. პროექტი განხორციელდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) -ის მიერ. პროექტის ფარგლებში დაცული ტერიტორიებისთვის აშენდა ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი, მოეწყო ვიზიტორთა ინფრასტრუქტურა, სრულად აღიჭურვა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გაიარეს სხვადასხვა სახის ტრენინგ კურსები, მომზადდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა და განხორციელდა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები დამხმარე ზონის სოფლებისთვის.

ალვანი-ომალოს გზის კონცეფცია

- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და ჩეხი ექსპერტების დახმარებით განხორციელდა თუშეთის დაცული ტერიოტრიებისთვის ალვანი-ომალოს გზის ახალი

კონცეფციის მომზადება, რომელიც განხილვის პროცესშია და გადაეგზავნება შესაბამის უწყებას განსახორციელებლად.

დასავლეთ საქართველოს მღვიმეების კვლევა

- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით დაიწყო დასავლეთ საქართველოს მღვიმეების კვლევა და მონაცემთა ბაზის შემუშავება.

სხვა აქტივობები:

- მიმდინარე წლის 7 დეკემბერს გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომელზეც წარმოდგენილი იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიღწევები და საჭიროებები. შეხვედრაზე მოხდა დონორთა მიერ დაგეგმილი აქტივობებისა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვა.
- დაცული ტერიტორიების სააგენტომ პოლონეთის გეოლოგიურ ინსტიტუტთან თანამშრომლობით მოამზადა და წარადგინა საპროექტო განაცხადი ეკო-ტურიზმისა და შესაძლებლობების გაძლიერების თაობაზე.
- გაფორმდა დაძმობილების მემორანდუმი ფილიპინებთან გამოცდილების გაზიარების შესახებ და გადაიდგა ნაბიჯები მალაიზიასთან მემორანდუმის გაფორმების თაობაზე.
- ეროვნული სატყეო სააგენტოს, GIZ და ზუკოვის ფონდთან ერთად დაიწყო თანამშრომლობა ბიოსფერული რეზერვატის შექმნის თაობაზე.
- ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან ერთად შემუშავებული და წარდგენილი იქნა განაცხადი გეოლოგიური პარკის შექმნასთან დაკავშირებით
- მიმდინარეობს პონტოს მუხის პოპულაციისთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების შეფასება. 22 დეკემბერს გაიმართება დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა პონტოს მუხის დაცული ტერიტორიის შექმნის შესაძლო გზების განხილვის მიზნით. პროგრამას ახორციელებს მსოფლიო ბანკი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდსა (WWF) და ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირთან (IUCN) თანამშრომლობის გზით.
- მიმდინარეობს განაცხადის მომზადება IUCN მწვანე სიისთვის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის წარდგენის თაობაზე.

ადმინისტრაციული სამსახური

თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი:

- 2015 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულმა სამსახურმა დაცული ტერიტორიების სისტემის მაშტაბით ჩაატარა საჯარო კონკურს 81 ვაკანტურ პოზიციაზე, რომელზეც განხილულ იქნა 1515 განაცხადი. საჯარო კონკურსის ყველა ეტაპი ჩატარდა გამჭირვალედ - საჯარო ხელმისაწვდომობის პირობებში. კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტები განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე apa.gov.ge.

2015 წლების განმავლობაში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები:

- მომზადდა 86 ბრძანება - განთავისუფლების შესახებ;
- მომზადდა 154 ბრძანება - დანიშვნის შესახებ;
- მომზადდა 398 ბრძანება - მივლინების შესახებ;
- მომზადდა 45 ბრძანება - დისციპლინური დასჯის შესახებ;
- მომზადდა 210 ბრძანება - შვებულების შესახებ;
- მომზადდა 31 ბრძანება - წახალისების შესახებ;
- მომზადდა 201 ბრძანება - საერთო საქმიანობის შესახებ;

ადმინისტრაციული საქმისწარმოება

- შემოსული წერილების რაოდენობა - 8785;
- გასული წერილების რაოდენობა - 4226;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოვიდა 12 განცხადება - ყველა დაკმაყოფილდა;
- ცნობა სამუშაო ადგილიდან - 90.

საქმისწარმოების არქივი

- ✓ სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა - კანცელარიის თანამშრომელმა გაიარა ტრეინინგი საქართველოს ეროვნულ არქივში საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის დარგში.

სამსახურებრივი მოწმობების გაცემა

- ✓ გაიცა სამსახურებრივი მოწმობა 110-მდე თანამშრომელზე;

- **ჯანმრთელობის დაზღვევის ადმინისტრირება**
  - სააგენტოს სისტემის მაშტატბით დაზღვეულ იქნა 618 თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები;

ცეცხლსასროლი იარაღის ადმინისტრირება

- 2015 წლის განმავლობაში მომსახურების სააგენტოში გაგიგზავნა 35 წერილი ცეცხლსასროლი სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღების თანამშრომლებზე გაფომები/გაუქმების თაობაზე.
- ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის ინვენტარიზაცია

ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

- 5 ტერიტორიულ ადმინისტრაციაში დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

იურიდიული სამსახური

დაცული ტერიტორიების საგენტოს დებულების თანახმად, იურიდიული სამსახურის ფუნქციებს წარმოადგენს: სააგენტოს სისტემის სამართლებრივი მომსახურება, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული დავებზე, სასამართლო ორგანოებში სააგენტოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების, მათ შორის საგრანტო, მომზადება და სამართლებრივი ექსპერტიზა. შესაბამისად თავისი კომპეტენცის ფარგლებში იურიდიული სამსახურის მიერ 2015 წელს გაწეული იქნა საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:

კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2015 წელს იურიდიული სამსახური ინტენსიურად იყო ჩართული არსებულ კანონებში ცვლილებების პროექტების მომზადებაში და მომზადდა 13 ცვლილება.

კანონქვემდებარე აქტების მომზადება

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ერთერთი შემადგენელი ნაწილია კანონქვემდებარე აქტების მომზადება, რომლებიც არეგულირებენ სააგენტოს საქმიანობას. 2015 წელს იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა საქართველოს მთავრობის 17 კანონქვემდებარე აქტის პროექტი;

საგრანტო ხელშეკრულებები

2015 წელს იურიდიული სამსახური აქტიურად იყო ჩართული დონორ ორგანიზაციებთან დასადები ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივ შემოწმებაში, მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ამ მიზნით 2015 წელს იურიდიული სამსახურის მიერ განხილული იქნა 11 საგრანტო ხელშეკრულება;

სასამართლო წარმომადგენლობა

იურიდიული სამახურის ერთ-ერთ ფუნქციაა სასამრთლოში სააგენტოს წარმომადგენლობა. 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს იურიდიულმა სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 10 სასამართლო პროცესში, რომელთაგან არცერთი პროცესი არ წააგო, სამი სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო ერთი საკასაციო წესით.

ინსპექტირების სამსახური

2015 წლის თერთმეტი თვის განმავლობაში ინსპექტირების სამსახურის მიერ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებულ 16 ადმინისტრაციაში განხორციელდა შემოწმება(სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში). შემოწმებების შედეგად გამოვლინდა დარღვევები, საიდანაც გამოსაყოფია:

ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები

2015 წელს ინპექტირების სამსახურმა გამოავლინა ხე-ტყის უკანონო ჭრის ერთი ფაქტი, კერძოდ_ თბილისის ეროვნულ პარკში, რომლის მოცულობამ შეადგინა 155 m^3, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანმა - 32332 ლარი, ხოლო მასალები გადაგზავნილი იქნა შემდგომი რეაგირებისათვის სამართალდამცავ ორგანოებში.

მოსამსახურეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტები

- შემოწმებების პროცესში ინსპექტირების სამსახურის მიერ, განსაკუთრებული ყურადგება ექცეოდა თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის საკითხს. გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე 49 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, მათ შორის ორი თანამშრომელი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ხუთ შემთხვევაში მასალები(სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი) გადაგზავნილი იქნა სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო ერთ შემთხვევაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში.

- ინსპექტირების მიმდინარეობისას სამსახურის მიერ ყურადგება ექცეოდა სააგენტოს ტურისტული ინფრასტრუქტურის და ადმინისტრაციების მენეჯმენტის გეგმების შესრულების მდგომარეობას, რაზედაც შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

ეკონომიკური სამსახური

- 2015 წლის განმავლობაში ეკონომიკურმა სამსახურმა გამოაცხადა 102 ტენდერი. აქედან შედგა და ხელშეკრულება დაიდო 82, არ შედგა 11, უარყოფითი შედეგით დასრულდა 4, შეწყვეტილია 5 ტენდერი, შესაბამისად შედგა გამოცხადებული ტენდერების 80%. სულ გაფორმებულია 379 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

- 2014 წლის განმავლობაში ეკონომიკურმა სამსახურმა გამოაცხადა 110 ტენდერი. აქედან შედგა 72, არ შედგა 24, უარყოფითი შედეგით დასრულდა 9, ხოლო 5 - შეწყდა. შესაბამისად შედგა გამოცხადებული ტენდერების 65%. გაფორმდა 410 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო 2013 წელს 235 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

სულ გამოცხადებული ტენდერები	ხელშეკრულება დადებულია	არ შედგა	დამთავრდა უარყოფითი შედეგით	შეწყვეტილია
110	72	24	9	5



2014 წელი 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

გამარტივებული შესყიდვით გაფორმებული ხელშეკრულებები
338

სულ გამოცხადებული ტენდერები	ხელშეკრულება დადებულია	არ შედგა	დამთავრდა უარყოფითი შედეგით	შეწყვეტილია	მიმდინარე ტენდერი
111	82	11	4	5	9



2015 წელი 1 იანვარი - 2015 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით

გამარტივებული შესყიდვით გაფორმებული ხელშეკრულებები საკუთარი შემოსავლებით
185

გამარტივებული შესყიდვით გაფორმებული ხელშეკრულებები ბიუჯეტით
90

გამარტივებული შესყიდვით გაფორმებული ხელშეკრულებები CNF-ით
10

2015 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ადმინისტრაცია	სამუშაოს დასახელება	ღირებულება	დაფინანსების წყარო
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	ქვიშხეთის, საქონდრიის სარეინჯეროს, ლომის მთის საგუშაგოს, ბორჯომისა და ხარაგაულის ადმინისტრაციული შენობების რემონტი	99200	„კავკასიის ბუნების ფონდი“ და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსება
თუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	ადმინისტრაციული შენობის რემონტი (სოფ. ქვემო ალვანი)	17120	„კავკასიის ბუნების ფონდი“ და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსება
ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	ადმინისტრაციული შენობისა და სარეინჯეროს რემონტი	19666	„კავკასიის ბუნების ფონდი“ და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსება
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	საპიკნიკეს მოწყობა	33616	„კავკასიის ბუნების ფონდი“ და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსება
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	ვიზიტორტა ცენტრის რეკონსტრუქცია	315000	ფონდი „ქართუ“
კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	ადმინისტრაციული შენობა	1147000	„კოლხეთის განვითარების ფონდი“
მარტვილის კანინო	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	1217000	სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები